გრძელვადიანი ხელშეკრულება საირიგაციო წყლის მიწოდებაზე
წყალმომხმარებელთა ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის №: ____-___

____/____/_____

ერთი მხრივ, პირველადი წყალმოსარგებლე (შემდგომში - მიმწოდებელი):

დასახელება (მიმწოდებელი):	შპს „საქართველოს მელიორაცია“
საიდენტიფიკაციო ნომერი:	204524568
ტელეფონის ნომერი:	
ელ.ფოსტა:	
მისამართი:	
წარმომადგენლის თანამდებობა:	
წარმომადგენლის სახელი და გვარი:	

მეორე მხრივ, წყალმომხმარებელთა ორგანიზაცია (შემდგომში - მომხმარებელი):

დასახელება (მომხმარებელი):	
ორგ. საიდენტიფიკაციო ნომერი:	
ტელეფონის ნომერი:	
ელ.ფოსტა:	
მისამართი:	
წარმომადგენლის თანამდებობა:	
წარმომადგენლის სახელი და გვარი:	

1. მიზანი

1.1. ამ ხელშეკრულების მიზანია მხარეთა შორის გრძელვადიანი, სტაბილური და პროგნოზირებადი თანამშრომლობის ჩამოყალიბება საირიგაციო წყლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე.

2. ზოგადი დებულებანი

2.1. გრძელვადიანი ხელშეკრულება საირიგაციო წყლის მიწოდებაზე (შემდგომში - ხელშეკრულება) შემუშავებულია „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი), „საირიგაციო წყლის მიწოდების წესებისა“ (შემდგომში - წესები) და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ში მოცემულია ინფორმაცია მომსახურების ტერიტორიის (ზონის) შესახებ.

2.3. მომხმარებლისთვის მიწოდების წერტილ(ებ)ში, მისაწოდებელი წყლის ზღვრული მოცულობები (წლის განმავლობაში მისაწოდებელი წყლის მაქსიმალური და მინიმალური მოცულობების მითითებით, ჩაშლილი თვეების მიხედვით) მოცემულია, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N2-ში.

2.4. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდების წერტილ(ებ)ში უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების დანართი N2-ში მოცემულ, მომხმარებლისთვის გარანტირებულად მისაწოდებელ წყლის მინიმალური მოცულობის მიწოდებას (ამ ხელშეკრულებისა და წესების პირობების შესაბამისად). ამასთან, ყოველწლიურად გასაფორმებელი წყალსარგებლობის განრიგით სხვა მოცულობის შეთანხმება, არ ცვლის და არ აუქმებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მისაწოდებელი წყლის მინიმალური მოცულობის მიწოდების პირობას.

2.5. სტაბილური გარემოს შექმნისა და წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის წევრების მიერ წლიური ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული მომსახურების საფასურის ცვლილება მომხმარებელზე უნდა გავრცელდეს მომდევნო (ახალი) კალენდარული წლიდან, წესებით გათვალისწინებული წინასწარი ინფორმირების პირობების დაცვით, აგრეთვე საფასურის ცვლილება შეიძლება განხორციელდეს კომისიის მიერ შესაბამისი მომსახურების ტარიფის დამტკიცებით („პირველადი წყალმოსარგებლის მიერ გაწეული მომსახურების ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიით“ განსაზღვრული წესით).

2.6. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება წესებითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

2.7. ბათილია წინამდებარე ხელშეკრულების დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება კანონსა და წესებს.

2.8. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ კანონითა და წესებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მომხმარებლისთვის საირიგაციო წყლის მიწოდებაზე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადითა და პირობებით.

4. მომსახურება და მომარაგების პირობები

4.1. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ურთიერთობა აწარმოონ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და წესებით განსაზღვრული პირობებით.

4.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან, დაიცვან კანონისა და წესების მოთხოვნები.

4.3. მომხმარებლის წყალმომარაგება განხორციელდება შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგით, ამ ხელშეკრულებისა და წესების პირობების შესაბამისად.

4.4. მხარეთა შორის შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგი არ ჩაითვლება დარღვეულად, თუ ფაქტობრივად მოხმარებული წყლის მოცულობა, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N2-ში განსაზღვრული წყლის ზღვრული მოცულობების (წყლის მაქსიმალური და მინიმალური მოცულობების) ფარგლებშია.

4.5. წყალსარგებლობის განრიგი მხარეთა შორის უნდა შეთანხმდეს ყოველწლიურად, წესებით გათვალისწინებული პირობების და პროცედურის დაცვით, ხოლო თუ კალენდარული წლის პირველ მარტამდე, მომხმარებელი არ მიმართავს მიმწოდებელს წყალსარგებლობის განრიგის შეთანხმების მოთხოვნით, მიმდინარე წლის პერიოდზე წყალმომარაგება განხორციელდება, გასული წლის პერიოდზე შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგის შესაბამისად.

4.6. შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგით გათვალისწინებული მისაწოდებელი წყლის მოცულობები, შესაბამისობაში უნდა იყოს ამ ხელშეკრულების დანართი N2-ში გათვალისწინებულ წყლის ზღვრულ მოცულობებთან (მინიმალურ და მაქსიმალურ მოცულობებთან). ამასთან, შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგით მისაწოდებელი წყლის მოცულობა არ უნდა იყოს ნაკლები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გარანტირებულად მისაწოდებელ წყლის მინიმალურ მოცულობაზე. იმ შემთხვევაში, თუ წყალსარგებლობის განრიგი ითვალისწინებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მაქსიმალური წყლის მოცულობაზე მეტი წყლის მიწოდებას, მისი გამომწვევი მიზეზ(ებ)ი განცალკევებულად უნდა ჩანდეს შეთანხმებულ წყალსარგებლობის განრიგში.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია, საირიგაციო სისტემის მეშვეობით უზრუნველყოს მომხმარებლისთვის წყლის უსაფრთხო, უწყვეტი, საიმედო და ხარისხიანი მიწოდება წესებისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

5.2. მომხმარებელი ვალდებულია, წყალი მოიხმაროს წინასწარ შეთანხმებული წყალსარგებლობის განრიგის შესაბამისად, ჰექტარზე განსაზღვრული მორწყვის ნორმის, რწყვის მეთოდისა და წყლის რაციონალურად მოხმარების პირობების გათვალისწინებით.

6. მომსახურების საფასური

6.1. კომისიის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევაზე შესაბამისი ტარიფის დადგენამდე, მომხმარებელი ვალდებულია, მოხმარებულ წყალზე საირიგაციო წყლის მიწოდების მომსახურების საფასური გადაიხადოს ყოველ 1მ^3 წყალზე _____ ლარის ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით).

6.2. წესების შესაბამისად, მომხმარებელი ვალდებულია დროულად გადაიხადოს ყოველთვიურად გადასახდელი მომსახურების საფასური, გადასახდელი თანხის ანგარიშსწორების ქვითარში სრულად ასახვისა და გადახდის ვადის განსაზღვრის შემდეგ.

6.3. წესების შესაბამისად, მომხმარებელი ვალდებულია ყოველი კალენდარული წლის პირველ იანვრამდე, წინსწრებით გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წლის განმავლობაში გარანტირებულად მისაწოდებელი წყლის მინიმალური მოცულობიდან მიწოდების მომსახურების 30%, რომელიც გათვალისწინებული იქნება მიმდინარე წლის ანგარიშსწორებისას[1].

7. პირგასამტეხლო

7.1. მიმწოდებელი, ისევე როგორც მომხმარებელი უფლებამოსილია მეორე მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულებით, აგრეთვე წესებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

7.2. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელი უფლებამოსილია მომხმარებელს დააკისროს პირგასამტეხლო:

[1] აღნიშნული გადახდის პირობა გავრცელდება 2026 წლის 1 დეკემბრიდან.

ა) მომსახურების საფასურის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში: ვადაგადაცილებული თანხის _____%[2]-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) წყლის მიწოდების ოპერაციაზე, წინამდებარე ხელშეკრულებით თვეში გათვალისწინებული წყლის მინიმალური მოცულობის აუთვისებლობის შემთხვევაში: ერთჯერადად, _____ლარის ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით);

7.3. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, მომხმარებელი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო:

ა) წყლის მიწოდების ოპერაციაზე, წინამდებარე ხელშეკრულებით თვეში გათვალისწინებული წყლის მინიმალური მოცულობის მიუწოდებლობის შემთხვევაში: ერთჯერადად, _____ლარის ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით);

8. დეპოზიტი

8.1. მიმწოდებელს უფლება აქვს მომხმარებელს მოსთხოვოს დეპოზიტის წარდგენა წესებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

8.2. მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს მიმწოდებლისთვის დეპოზიტის სახით წარდგენილი თანხა საბანკო გარანტიით ან საბანკო გარანტიის სანაცვლოდ მიმწოდებელს წარუდგინოს თანხა.

9. წყლის რაციონალური მოხმარების და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ღონისძიებები

9.1. მხარეები აცნობიერებენ, რომ წყლის რაციონალური ხარჯვისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს, როგორც მომხმარებლის საოპერაციო ხარჯის შემცირებას, აგრეთვე სისტემის ეფექტიან ოპერირებას და წყლის მიზნობრივ ხარჯვას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეები გამოიყენებენ მათ ძალისხმევას, რათა ხელი შეუწყონ მომხმარებლის მომსახურების ტერიტორიაზე არსებულ საირიგაციო სისტემებში თანამედროვე ტექნოლოგიების და მეთოდების გამოყენებას.

10. რისკების მართვა

10.1. მხარეები ვალდებულნი არიან წყალსარგებლობის განრიგის შეთანხმებამდე, შეაფასონ წყალმომარაგების პირობის შესრულებასთან დაკავშირებული რისკები, მათ ხელთ არსებული და საპროგნოზო მონაცემების გათვალისწინებით და ისე მოახდინონ აღნიშნული შეთანხმების გაფორმება.

10.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნისთანავე შეიკრიბონ და განიხილონ მათთვის ცნობილი ნებისმიერი ხელშემშლელი ან/და სხვა უარყოფითი გარემოება, რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სათანადოდ და დროულად შესრულებას. ასეთი ფაქტის დადგომისთანავე, მხარემ ვის მიმართაც არ შესრულდა ან რისკის ქვეშ დადგა ვალდებულების შესრულება, კომისიას უნდა წარუდგინოს ინფორმაცია ამ დარღვევის/რისკის პრევენციისთვის გატარებული და დაგეგმილი (სავარაუდო) ღონისძიებების შესახებ.

11. ხელშეკრულების დანართებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების დანართებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. ცვლილება-დამატება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მიმწოდებლის მიერ ცალმხრივად, თუ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში მომხმარებელმა მიმწოდებელს არ მიმართა წყალსარგებლობის განრიგის შეთანხმების მოთხოვნით;

ბ) მიმწოდებლის მიერ ცალმხრივად, თუ ხელშეკრულების გაფორმებიდან ზედიზედ 3 წლის განმავლობაში არ განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მინიმალური წყლის მოცულობების ათვისება (მოთხოვნილ პერიოდებში);

გ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

დ) ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლით;

ე) წესებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების შესრულებისგან.

13. დავის გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების ფარგლებში დავის გადაწყვეტა უნდა მოხდეს მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმებით. ამასთან, მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ სადავო საკითხი ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტონ ისე, როგორც ეს გაცხადებულია ამ ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

[2] არ უნდა აღემატებოდეს 0.1%-ს.

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს:____ _____ ____ -მდე[3].
(რიცხვი) (თვე) (წელი)

14.2. მიმწოდებელი ვალდებულია მომხმარებელს წინასწარ 6 თვით ადრე მაინც წერილობითი ფორმით აცნობოს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის, მისი გაგრძელების ან ახალი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

15. სხვა პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

16. ხელშეკრულების დანართ(ებ)ი:

☐	დანართი N1	ინფორმაცია წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის მომსახურების ტერიტორიის (ზონის) და მიწოდების წერტილების შესახებ;
☐	დანართი N2	მიწოდების წერტილ(ებ)ში წლის განმავლობაში მისაწოდებელი წყლის ზღვრული მოცულობები;

17. მხარეთა ხელმოწერები

შპს „საქართველოს მელიორაციის“ (მიმწოდებლის) წარმომადგენელი		**წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის (მომხმარებლის) წარმომადგენელი**	
სახელი, გვარი	.....	სახელი, გვარი	.....
ხელმოწერა	.....	ხელმოწერა	.....

[3] წყალმომხმარებელთა ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გრძელვადიანი ხელშეკრულება საირიგაციო წყლის მიწოდებაზე უნდა დაიდოს მინიმუმ 10 წლის ვადით.

ინფორმაცია წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის მომსახურების ტერიტორიის (ზონის) და მიწოდების წერტილების შესახებ

1. **წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის მომსახურების ტერიტორია[4]:**_____
_____
_____.

(ჩამოთვალეთ იმ დასახლებული ტერიტორიების ჩამონათვალი, რომელსაც ფარავს მომხმარებლის მომსახურების ტერიტორია, საირიგაციო მიწის ფართობის მითითებით)

ასევე, წინამდებარე დანართზე თანდართულია წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის მომსახურების ტერიტორიის რუკა/აზომვითი ნახაზი ✪.

2. **მიწოდების წერტილ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია:**

	საირიგაციო არხის დასახელება და მიწოდების წერტილის ნომერი	მიწოდების წერტილის მისამართი ან ადგილმდებარეობა	მიწოდების წერტილის GPS კოორდინატები	მიწოდების წერტილიდან წყალაღების დაშვებული მაქსიმალური საათობრივი მოხმარება (დაშვებული წარმადობა/დებიტი)	მიწოდების წერტილიდან წყალაღების დაშვებული მინიმალური საათობრივი მოხმარება (დაშვებული წარმადობა/დებიტი)
1					
2					
3					
4					
5					

შპს „საქართველოს მელიორაციის“ (მიმწოდებლის)

წარმომადგენელი

სახელი, გვარი .....

ხელმოწერა .....

წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის (მომხმარებლის)

წარმომადგენელი

სახელი, გვარი .....

ხელმოწერა .....

[4] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც მოიცავს 1 ჰიდროტექნიკურ ერთეულს მაინც და რომელზედაც შეიქმნა წყალმომხმარებელთა ორგანიზაცია.

დანართი N2

მიწოდების წერტილ(ებ)ში წლის განმავლობაში მისაწოდებელი წყლის ზღვრული მოცულობები

(მისაწოდებელი წყლის მაქსიმალური და მინიმალური მოცულობები)

პერიოდი:	_____წ.-დან-_____წ.-მდე[5]												
მიწოდების წერტილის N	თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
N	წყლის მინიმალური მოცულობა	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³
	წყლის მაქსიმალური მოცულობა	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³	_____მ³
წლის განმავლობაში მისაწოდებელი წყლის მოცულობა ჯამურად (ივსება თვალსაჩინოებისთვის):						მინიმალური:	_____მ³						
						მაქსიმალური:	_____მ³						

შპს „საქართველოს მელიორაციის“ (მიმწოდებლის)

წარმომადგენელი

სახელი, გვარი .....

ხელმოწერა .....

წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის (მომხმარებლის)

წარმომადგენელი

სახელი, გვარი .....

ხელმოწერა .....

[5] იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების სხვადასხვა წლისთვის მოთხოვნილია მისაწოდებელი წყლის განსხვავებული ზღვრული მოცულობები მოცემული ფორმით შეავსეთ რამდენიც საჭიროა იმდენი ცხრილი და დანომრეთ ეს ცხრილები.